

ქეთევან კუპავა\*

## პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაბალანსება ციფრულ ეპოქაში

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოები ფართოდ იყენებენ ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებებს და ახორციელებენ ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგს, რაც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და თვითნებობის მაღალ რისკს წარმოშობს. თანამედროვე ტექნოლოგიები სახელმწიფოს პერსონალური მონაცემების უპრეცედენტო მასშტაბით შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, დღევანდელ მოცემულობაში უმთავრესი გამოწვევა იმის დადგენაა, როგორ შეიძლება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მძიმე დანაშაულების თავიდან აცილება ადამიანის უფლებების ხელყოფის გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მნიშვნელოვანი გზამკვლევაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და უსაფრთხოების ინტერესების დაბალანსების კუთხით. წინამდებარე სტატიის მიზანია, განიხილოს, როგორ ვითარდება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და რა სამართლებრივი გარანტიები იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას სახელმწიფოს მიერ ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების გამოყენების პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** ფარული მეთვალყურეობა, პერსონალური მონაცემები, ეროვნული უსაფრთხოება, საერთაშორისო კომუნიკაციები, მასობრივი მონიტორინგი

### 1. შესავალი

ტექნოლოგიის სწრაფი განვითარების პარალელურად, საზოგადოება ფარული მეთვალყურეობის ნორმალიზების მომსწრე გახდა. მეთვალყურეობის მეთოდები დროის მსვლელობასთან ერთად იცვლება, ვითარდება და უფრო მეტად კომპლექსური ხდება. შეიძლება ითქვას, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინდივიდუალური თავისუფლების დამოშლამ არის ის ფასი, რასაც საზოგადოება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საინაცვლოდ იხდის.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების არსებობის წინაპირობაა. ამავ დროს, ეს უფლება აბსოლუტური არ არის და მისი შეზღუდვა დასაშვებია ცალკეული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, თუ ეს „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ ეროვნული უსაფრთხოების დაცვა ერთ-ერთი ასეთი ლეგიტიმური მიზანია.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა ფარული მეთვალყურეობის მასშტაბი მნიშვნელოვნად გაზარდა. უსაფრთხოების ინტერესები გარკვეულწილად მოითხოვს უფლებების შეზღუდვას და ფარული ღონისძიებების გატარებას. ამავ დროს, ამგვარი მეთოდების გამოყენებაზე ეფექტიანი ზედამხედველობის არარსებობა დემოკრატიულ ღირებულებებს საფრთხეს უქმნის. საფრთხე არსებობს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფარული ღონისძიებები ყველა ადამიანს მიემართება, მიუხედავად მათ მიმართ გონივრული ეჭვის არსებობისა.

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი. <https://orcid.org/0000-0003-3956-5730>.

საკამათოდ მიიჩნევა იმგვარი მეთოდების გამოყენება, რომელთაც პროაქტიული ხასიათი აქვს. სახელმწიფო ერევა ადამიანების თავისუფლებაში, პირად ცხოვრებაში, კომუნიკაციაში არა იმ ქმედების გამო, რაც მათ ჩაიდინეს, არამედ იმ საშიშროების საფუძველზე, რაც შეიძლება შემდგომ წარმოიშვას.<sup>1</sup>

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დანაშაულის თავიდან აცილება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა. თუმცა, ამ ვალდებულების შესრულებისას საკმაოდ დიდია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და თვითნებობის რისკი. ამ რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის გატარებული ზომების ფარული ხასიათი, რაც თავისთავად ამცირებს უსაფრთხოების სამსახურების ანგარიშვალდებულების ხარისხს. შესაბამისად, დღევანდელ მოცემულობაში უმთავრესი გამოწვევა იმის დადგენაა, როგორ შეიძლება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მძიმე დანაშაულების თავიდან აცილება ადამიანის უფლებების ხელყოფის გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომ – „სასამართლო“ ან „ევროპული სასამართლო“) პრაქტიკა მნიშვნელოვანი გზამკვლევაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და უსაფრთხოების ინტერესების დაბალანსების კუთხით. წინამდებარე სტატიის მიზანია, განიხილოს, ტერორიზმიდან და ტრანსნაციონალური დანაშაულებიდან მომდინარე საშიშროების გათვალისწინებით, როგორ ვითარდება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და რა სამართლებრივი გარანტიები იცავს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას სახელმწიფოს მიერ ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების გამოყენების პროცესში.

## **2. ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგი და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება – რა მიმართულებით ვითარდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი?**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომ – კონვენცია) მე-8 მუხლის თანახმად,

„1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“<sup>2</sup>

ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად ცვლის ადამიანების ცხოვრებას და ერთმანეთთან კომუნიკაციის გზებს, რაც თავის მხრივ, ცვლის მეთვალყურეობის პრაქტიკას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ჩვენეულ აღქმასა და მოლოდინებს.<sup>3</sup> ტექნოლოგიურმა პროგრესმა

<sup>1</sup> Fenwick H., Proactive Counter-Terrorist Strategies in Conflict with Human Rights, International Review of Law, Computers & Technology, Vol. 22, No. 3, 2008, 259-260.

<sup>2</sup> European Convention on Human Rights, Article 8, Council of Europe, 1950.

<sup>3</sup> Stepanovic I., Preventing Terrorism or Eliminating Privacy? Rethinking Mass Surveillance after Snowden Revelations, Strani Pravni Zivot (Foreign Legal Life), 2015(4), 236.

არსებითი გავლენა მოახდინა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებაზეც.

სასამართლოს არაერთხელ მოუწია მსჯელობა ფარული მეთვალყურეობის რეჟიმების კონვენციასთან შესაბამისობის საკითხზე. მნიშვნელოვანია, რომ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემების მხოლოდ შენახვაც კი მე-8 მუხლის მიზნებისთვის ჩარევას წარმოადგენს.<sup>4</sup> აღნიშნულს არ ცვლის ის ფაქტი, რომ შენახული მასალა კოდირებული ფორმით არსებობს, გასაგებია მხოლოდ კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევაში და პირთა შეზღუდულ რაოდენობას შეუძლია მისი გაშიფვრა.<sup>5</sup>

ადამიანების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შესაძლოა ამჟღავნებდეს არა მხოლოდ კომუნიკაციის შინაარსი, არამედ მეტა მონაცემებიც. ამგვარი მონაცემების მეშვეობით შესაძლებელია პირის პორტრეტის შექმნა და მისი პირადი ცხოვრების შესახებ ზუსტი დასკვნების გამოტანა.<sup>6</sup>

ადამიანების მიერ კომპიუტერული სისტემების ნებისმიერი გამოყენება ციფრულ კვალს ტოვებს. თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი შესაძლებლობების გათვალისწინებით (მაგალითად, მონაცემთა ურთიერთდაკავშირება და სრულიად ახალი ინფორმაციის მოპოვება), შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ფაქტობრივად აღარ არსებობს „უმნიშვნელო“ ან „არარელევანტური“ მონაცემები.<sup>7</sup> დიდი მონაცემების ეპოქაში, პერსონალურ მონაცემთა ნებისმიერი დამუშავება პოტენციურად გავლენას ახდენს ფართო გაგებით პირად ცხოვრებაზე.<sup>8</sup>

ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოები ფართოდ იყენებენ ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებებს და ახორციელებენ ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგს, რაც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და თვითნებობის მაღალ რისკს წარმოშობს.

ინტერნეტის ეპოქაში ერთმანეთისგან განასხვავებენ მასობრივ და მიზნობრივ მეთვალყურეობას, ასევე შიდა და საერთაშორისო კომუნიკაციების მონიტორინგს.<sup>9</sup> მნიშვნელოვანია, რომ ევროპული სასამართლო განსხვავებულ სამართლებრივ სტანდარტს ადგენს ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე მყოფი პირების და მეორე მხრივ, მისი იურისდიქციის მიღმა მყოფი ადამიანების კომუნიკაციების მონიტორინგთან მიმართებით.

<sup>4</sup> *Centrum för Rättvisa v. Sweden*, [2021], ECtHR, N 35252/08, § 244.  
*Big Brother Watch and Others v. the United Kingdom*, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 330.

*Amann v. Switzerland*, [2000], ECtHR, N 27798/95, § 69.  
*S. and Marper v. the United Kingdom*, [2008], ECtHR, N 30562/04, 30566/04, § 67.

<sup>5</sup> *Centrum för Rättvisa v. Sweden*, [2021], ECtHR, N 35252/08, § 244.  
*Big Brother Watch and Others v. the United Kingdom*, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 330.

<sup>6</sup> *Digital Rights Ireland Ltd v Minister for Communications, Marine and Natural Resources and Others and Kärntner Landesregierung and Others*, [2014], CJEU, C-293/12, C-594/12, § 27.

<sup>7</sup> *Karaboga M., Matzner T., Obersteller H., Ochs C.*, Is there a Right to Offline Alternatives in a Digital World? in *Data Protection and Privacy: (In)visibilities and Infrastructures*, *Leenes R., Brakel R.v., Gutwirth S., Hert P.D.*, (eds), Springer International Publishing AG, 2017, 45.

<sup>8</sup> *Hijmans H.*, *The European Union as Guardian of Internet Privacy, The Story of Art 16 TFEU*, Law, Governance and Technology Series, Vol. 31, Springer International Publishing Switzerland, 2016, 70.

<sup>9</sup> იქვე, 104.

საერთაშორისო კომუნიკაციების სტრატეგიული მონიტორინგის კონვენციასთან შესაბამისობა ევროპულმა სასამართლომ ჯერ კიდევ 2006 წელს დაადასტურა საქმეში *ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ*.<sup>10</sup> სასამართლომ დაუშვებლად ცნო საჩივარი, რადგან მომჩივნების უფლებებში ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და არსებობდა მნიშვნელოვანი გარანტიები უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.<sup>11</sup> კანონმდებლობა მკაცრ პირობებს ადგენდა სტრატეგიული მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემების გადაცემასთან დაკავშირებით<sup>12</sup> და ითვალისწინებდა პერსონალური მონაცემების განადგურებას მას შემდეგ, რაც ის აღარ იყო საჭირო კანონიერი მიზნების მისაღწევად.<sup>13</sup> გარდა ამისა, სავალდებულო იყო შესაბამისი პირების ინფორმირება მას შემდეგ, რაც ამგვარი შეტყობინება მონიტორინგის მიზნებს საფრთხეს აღარ უქმნიდა.<sup>14</sup>

2008 წელს, საქმეში *ლიბერთი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>15</sup> ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან ტრანსსასაზღვრო კომუნიკაციების მეთვალყურეობის პროცესში ეროვნული კანონმდებლობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ფართო დისკრეციას ანიჭებდა. სასამართლოს შეფასებით, კანონი საკმარისი სიცხადით არ აწესრიგებდა სახელმწიფოს ფართო დისკრეციის განხორციელებას ფარგლებსა და მეთოდებს, რაც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დაცვას ვერ უზრუნველყოფდა. უფრო კონკრეტულად, კანონმდებლობა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით არ არეგულირებდა კომუნიკაციის მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მასალების გამოსაკვლევად შერჩევის, გაზიარების, შენახვისა და განადგურების პროცედურას.<sup>16</sup>

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება საქმეებიც, სადაც განხილულია სახელმწიფოს მიერ საკუთარი ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში მყოფი პირების კომუნიკაციების მეთვალყურეობის საკითხი. 2015 წელს დიდმა პალატამ საქმეში *რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ*<sup>17</sup> ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან რუსეთის კანონმდებლობა თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან ასაცილებლად ეფექტურ გარანტიებს არ ითვალისწინებდა. ამგვარი რისკები თავისთავად არსებობს ფარული მეთვალყურეობისა და განსაკუთრებით მაღალია იმ შემთხვევაში, როდესაც საიდუმლო სამსახურებს და პოლიციას, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, პირდაპირი წვდომა აქვთ მობილური ტელეფონით განხორციელებულ ყველა კომუნიკაციაზე.<sup>18</sup>

სასამართლოს შეფასებით, საკმარისი სიცხადით არ იყო განსაზღვრული ის შემთხვევები, როდესაც საჯარო დანებსებულებებს ფარული მეთვალყურეობა შეეძლოთ; მეთვალყურეობის შეწყვეტის თაობაზე სამართლებრივი ნორმები თვითნებობისგან დაცვას სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა; კანონმდებლობა უშვებდა ამკარად არარეგულაციური მონაცემების ავტომატურად შენახვას, ხოლო ის შემთხვევები, როდესაც სასამართლო პროცესის დასრულების

<sup>10</sup> Weber and Saravia v. Germany, [2006], ECtHR, N 54934/00.

<sup>11</sup> იქვე, §§ 117-118.

<sup>12</sup> იქვე, § 122.

<sup>13</sup> იქვე, § 132.

<sup>14</sup> იქვე, § 136.

<sup>15</sup> Liberty and Others v. the United Kingdom, [2008], ECtHR, N 58243/00.

<sup>16</sup> იქვე, § 69.

<sup>17</sup> Roman Zakharov v. Russia, [2015], ECtHR, N 47143/06.

<sup>18</sup> იქვე, § 302.

შემდეგ მასალები ინახებოდა ან ნადგურდებოდა, საკმარისად ნათლად არ იყო განსაზღვრული; ნებართვის გაცემის პროცედურა ვერ უზრუნველყოფდა ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების გამოყენებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში;“ მეთვალყურეობაზე ზედამხედველობა ვერ პასუხობდა დამოუკიდებლობის მოთხოვნებს და არ იყო საკმარისი ეფექტური და განგრძობადი კონტროლის განსახორციელებლად; სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტურობას ძირს უთხრიდა შეტყობინების და მეთვალყურეობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე წვდომის არარსებობა.<sup>19</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმეში დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გონივრული ეჭვის არსებობას პირის მიერ დანაშაულის ან სხვა იმგვარი ქმედების დაგეგმვის ან ჩადენის შესახებ, რაც ეროვნულ უშიშროებას საფრთხეს უქმნის.<sup>20</sup>

ეროვნულ უსაფრთხოებას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის ბალანსის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა საქმეში *საბო და ვისი უნგრეთის წინააღმდეგ*. 2016 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ უნგრეთის კანონმდებლობით ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებები პოტენციურად ნებისმიერ პირს ეხებოდა; ხორციელდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და მკაცრი აუცილებლობის შეფასების გარეშე; ახალი ტექნოლოგიები სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევდა მასობრივად შეეგროვებინა მონაცემები და არ არსებობდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება, რომ არაფერი ვთქვათ სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვის შესაძლებლობაზე.<sup>21</sup> შესაბამისად, ამ საქმეშიც ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა.

მიუხედავად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებისა, სასამართლომ მსჯელობამ კრიტიკაც დაიმსახურა: მოსამართლე პინტო დე ალბუქერქეს თანმხვედრი აზრის თანახმად, სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებაში უფრო დაბალი სტანდარტი – „ინდივიდუალური ეჭვი“ აირჩია, ნაცვლად „გონივრული ეჭვისა“, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დაცვის იმ ხარისხს, რაც *ზახაროვის* საქმეში დადგინდა. მისი შეფასებით, ნებისმიერი სახის ეჭვი საკმარისი იქნება მოქალაქეების მიმართ მასობრივი მეთვალყურეობის განსახორციელებლად და არსებობს რისკი, მოსამართლე იქცეს მთავრობის მხრიდან ადამიანების კონტროლის სტრატეგიაზე შტამპის დამსმელად.<sup>22</sup> „ინდივიდუალური ეჭვი“ უთანაბრდება ზოგადი ეჭვის არსებობას და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ევროპული სასამართლოს პალატა ეთანხმება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ფართომასშტაბიანი, „სტრატეგიული მეთვალყურეობის“ განხორციელებას.<sup>23</sup>

## 2.1. საერთაშორისო კომუნიკაციების მასობრივი მონიტორინგის ნორმალიზება ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად

ფართომასშტაბიანი მეთვალყურეობის მიმართ ევროპული სასამართლოს შემწყნარებლური დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა დიდი პალატის მიერ 2021 წლის 25

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> იქვე, § 260.

<sup>21</sup> Szabó and Vissy v. Hungary, [2016], ECtHR, N 37138/14, § 89.

<sup>22</sup> Szabó and Vissy v. Hungary, [2016], ECtHR, N 37138/14, Concurring Opinion of Judge Pinto De Albuquerque, § 35.

<sup>23</sup> იქვე.

მაისს მიღებული ორი ერთმანეთის მსგავსი გადაწყვეტილებით.<sup>24</sup> გაერთიანებული სამეფოს<sup>25</sup> და შვედეთის<sup>26</sup> მეთვალყურეობის რეჟიმის შეფასებისას დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ თანამედროვე საფრთხეებისა და განვითარებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით, მასობრივი მონიტორინგის რეჟიმის არსებობა თავისთავად მე-8 მუხლთან შეუსაბამო არ არის და ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, ამგვარი რეჟიმის ოპერირება სახელმწიფოების მიხედულების ფარგლებში ექცევა. ორივე საჩივარი დაზვერვის სამსახურების მიერ ტრანსსასაზღვრო კომუნიკაციების მასობრივ მონიტორინგს ეხებოდა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ძველ საქმეებზე (*ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ*; *ლიბერთი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*) და ხაზი გაუსვა კანონმდებლობით გასათვალისწინებელ იმ 6 მინიმალურ გარანტიას, რაც საკუთარი პრაქტიკით იყო დადგენილი: იმ დანაშაულთა ბუნება, რასთან დაკავშირებითაც შეიძლება გაიცეს ფარული მეთვალყურეობის ბრძანება; პირთა იმ კატეგორიის განსაზღვრა, რომელთა კომუნიკაციების მონიტორინგი შესაძლოა განხორციელდეს; მეთვალყურეობის ხანგრძლივობის შეზღუდვა; მოპოვებული მონაცემების გამოკვლევის, გამოყენებისა და შენახვის პროცედურა; სხვა პირებისათვის მონაცემების გაზიარებასთან დაკავშირებული სიფრთხილის ზომები; გარემოებები, როდესაც ჩანანერები შესაძლოა ან უნდა წაიშალოს/განადგურდეს.<sup>27</sup>

დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ზემოაღნიშნული საქმეების განხილვიდან 10 წელზე მეტი გავიდა და ამ პერიოდში ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანების კომუნიკაციის გზები.<sup>28</sup> თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით, სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია მიზნობრივი მეთვალყურეობის მიმართ არსებული ზოგადი მიდგომის ადაპტირება მასობრივი მონიტორინგის რეჟიმის კონკრეტული მახასიათებლების შესაბამისად.

დიდი პალატის თანახმად, მიზნობრივ მეთვალყურეობასთან დაკავშირებული ზემოთ განხილული 6 მინიმალური გარანტიიდან პირველი ორი (იმ დანაშაულთა ბუნება, რასთან დაკავშირებითაც შეიძლება მეთვალყურეობის ბრძანება გაიცეს; პირთა იმ კატეგორიის განსაზღვრა, რომელთა მიმართ შესაძლოა ეს ღონისძიება განხორციელდეს) მასობრივი მეთვალყურეობის რეჟიმს ნაკლებად მიემართება. აღნიშნულის მსგავსად, სასამართლოს პრაქტიკით გამოძიების კონტექსტში დამკვიდრებული „გონივრული ეჭვის“ მოთხოვნა ნაკლებად რელევანტურია მასობრივი მონიტორინგის რეჟიმისთვის, რადგან ამ უკანასკნელის მიზანი ძირითადად პრევენციულია და კონკრეტული დანაშაულის გამოძიებას არ უკავშირდება.<sup>29</sup>

<sup>24</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15. Centrum för Rättvisa v. Sweden, [2021], ECtHR, N 35252/08.

<sup>25</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15.

<sup>26</sup> Centrum för Rättvisa v. Sweden, [2021], ECtHR, N 35252/08.

<sup>27</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 335.

Centrum för Rättvisa v. Sweden, [2021], ECtHR, N 35252/08, § 249.

<sup>28</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 341.

<sup>29</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 348.

Centrum för Rättvisa v. Sweden, [2021], ECtHR, N 35252/08, § 262.

მასობრივი მეთვალყურეობის რეჟიმის კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დიდმა პალატამ ადგილობრივი კანონმდებლობით გასათვალისწინებელი ახალი გარანტიები განსაზღვრა:

1. მასობრივი მეთვალყურეობის განსახორციელებლად ნებართვის გაცემის საფუძვლები;
2. გარემოებები, როდესაც პირის კომუნიკაციის მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს;
3. ნებართვის გაცემის პროცედურა;
4. მეთვალყურეობის შედეგად მოპოვებული მასალის შერჩევის, გამოკვლევისა და გამოყენების პროცედურა;
5. მასალის მესამე პირებისათვის გადაცემის დროს მისაღები სიფრთხილის ზომები;
6. მეთვალყურეობის ხანგრძლივობისა და მასალის შენახვის ვადები; გარემოებები, როდესაც ეს მასალა უნდა წაიშალოს და განადგურდეს;
7. დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან ზედამხედველობის განხორციელების პროცედურა და მეთოდები, ასევე ზემოაღნიშნულ გარანტიებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, რეაგირების უფლებამოსილება;
8. ამგვარი შესაბამისობის შემდგომი (*ex post facto*) დამოუკიდებელი შემოწმების პროცედურები და სათანადო ორგანოსთვის მინიჭებული რეაგირების უფლებამოსილება.<sup>30</sup>

სასამართლოს შეფასებით, შვედეთის მეთვალყურეობის სისტემა დეტალურ სამართლებრივ ნორმებს ეფუძნებოდა, მისი ფარგლები შეზღუდული იყო და დაცვის გარანტიებსაც ითვალისწინებდა.<sup>31</sup> მონიტორინგის რეჟიმის მთავარი მახასიათებლები კონვენციის მოთხოვნებს შეესაბამებოდა და ძირითადად „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.“<sup>32</sup> ამავე დროს, დიდმა პალატამ შემდეგი სამი ხარვეზი გამოავლინა: მკაფიო წესის არარსებობა იმ მასალების განადგურებასთან დაკავშირებით, რაც პერსონალურ მონაცემებს არ შეიცავდა;<sup>33</sup> დაზვერვის მონაცემების უცხოელი პარტნიორებისთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ფიზიკური პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ინტერესების მხედველობაში მიღების ვალდებულების არარსებობა;<sup>34</sup> ეფექტური შემდგომი (*ex post facto*) ზედამხედველობის არარსებობა.<sup>35</sup>

დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა მეთვალყურეობის შედეგად მოპოვებული მასალის უცხო ქვეყნისთვის გადაცემისას დამატებითი გარანტიების არსებობის საჭიროებას.<sup>36</sup> სასამართლომ მნიშვნელოვან ხარვეზად მიიჩნია ის გარემოება, რომ შვედეთის კანონმდებლობა დაზვერვის მონაცემების გადაცემის აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასებას არ ითვალისწინებდა.<sup>37</sup> ამავე დროს, არ არსებობდა ვალდებულება იმისა, რომ დაედგინათ ინფორმაციის მიმღები დაწესებულების მიერ სათანადო მინიმალური გარანტიების უზრუნველყოფა.<sup>38</sup>

<sup>30</sup> Centrum för Rättvisa v. Sweden, [2021], ECtHR, N 35252/08, § 275.  
Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 361.

<sup>31</sup> Centrum för Rättvisa v. Sweden, [2021], ECtHR, N 35252/08, § 367.

<sup>32</sup> იქვე, § 373.

<sup>33</sup> იქვე, § 342.

<sup>34</sup> იქვე, §§ 326-330.

<sup>35</sup> იქვე, §§ 359-364.

<sup>36</sup> იქვე, § 276.

<sup>37</sup> იქვე, § 326.

<sup>38</sup> იქვე.

დიდმა პალატამ მხედველობაში მიიღო იმ გარემოებების არაპროგნოზირებადი ხასიათი, რაც უცხოური დაზვერვის სამსახურებთან თანამშრომლობას ამართლებს. შესაბამისად, კანონი ამომწურავად და დეტალურად ვერ გაითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც მონაცემების გადაცემა დაშვებულია.<sup>39</sup> ამავე დროს, სამართლებრივი რეგულირება და პრაქტიკა უნდა ზღუდავდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და მე-8 მუხლში არაპროპორციულ ჩარევას.<sup>40</sup>

საბოლოოდ, დიდმა პალატამ შვედეთის მასობრივი მეთვალყურეობის რეჟიმი კონვენციის მე-8 მუხლთან შეუსაბამოდ მიიჩნია, რადგან ის არ ითვალისწინებდა საკმარის გარანტიებს თვითნებობის და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

რაც შეეხება გაერთიანებული სამეფოს მეთვალყურეობის რეჟიმს, სასამართლოს შეფასებით, ის სამი არსებითი ხარვეზით ხასიათდებოდა: მასობრივი მონიტორინგის ორდერთან დაკავშირებით დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან ნებართვა არ გაიცემოდა; ორდერის მისაღებად განაცხადში არ უთითებდნენ სელექტორების<sup>41</sup> კატეგორიებს; ინდივიდთან დაკავშირებულ სელექტორთან მიმართებით არ იყო უზრუნველყოფილი წინასწარი შიდა ნებართვა.<sup>42</sup>

დიდმა პალატამ ასევე შეაფასა მეთვალყურეობის რეჟიმის კონვენციის მე-10 მუხლთან – გამოხატვის თავისუფლებასთან შესაბამისობა. სასამართლოს თანახმად, დაზვერვის სამსახურების მიერ ჟურნალისტთან დაკავშირებული ან იმგვარი სელექტორების ან საძიებო ტერმინების გამოყენებამდე, რაც მაღალი ალბათობით, კონფიდენციალური ჟურნალისტური მასალის გამოსაკვლევად შერჩევას გამოიწვევდა, აუცილებელი იყო მოსამართლის ან სხვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ნებართვა.<sup>43</sup> გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა კი ამ მოთხოვნას არ ითვალისწინებდა.<sup>44</sup>

რაც შეეხება კონვენციის არანეკრი სახელმწიფოდან დაზვერვის მონაცემების მოთხოვნასა და მიღებას, სასამართლოს შეფასებით, მას ცხადი საკანონმდებლო საფუძველი ჰქონდა და ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურებოდა. კანონმდებლობა მკაფიოდ არეგულირებდა, რა შემთხვევებში და რა პირობების არსებობისას შეეძლო ხელისუფლებას სხვა ქვეყნიდან მონაცემების მოთხოვნა. მასალის შენახვის, წვდომის, გამოკვლევისა და გამოყენების, სხვა პირებისთვის გადაცემის, ასევე ნაშლისა და განადგურების პროცედურები იყო საკმარისად ცხადი და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის სათანადო გარანტიებს ქმნიდა.<sup>45</sup>

საბოლოოდ, გაერთიანებულ სამეფოში კომუნიკაციების მასობრივი მონიტორინგისა და საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებისგან მონაცემების მიღების რეჟიმთან დაკავშირებით, დიდმა პალატამ კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლების დარღვევა დაადგინა; სხვა სახელმწიფოდან დაზვერვის მონაცემების მოთხოვნის და მიღების რეჟიმი კი სასამართლომ კონვენციასთან შესაბამისად მიიჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ ორივე საქმეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა დადგინდა, ევროპულმა სასამართლომ კომუნიკაციების მონიტო-

<sup>39</sup> იქვე, § 323.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> სელექტორი გულისხმობს კონკრეტულ იდენტიფიკატორს, მაგალითად, სახელი, ელექტრონული მისამართი და ა.შ.

<sup>42</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15.

<sup>43</sup> იქვე, § 448.

<sup>44</sup> იქვე, § 456.

<sup>45</sup> იქვე, §§ 501-508.

რინგის რეჟიმის იმგვარი ხარვეზები გამოავლინა, რომელთა გამოსწორება ადვილად შესაძლებელია.<sup>46</sup> სტრატეგიული მეთვალყურეობის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო დიდი პალატის ეს გადაწყვეტილებები კრიტიკის საგანიც გახდა.

მოსამართლე ალბუქერქეს ნაწილობრივ თანმხვედრი და ნაწილობრივ განსხვავებული აზრის თანახმად, გაერთიანებული სამეფოს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად ცვლის ბალანსს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესს შორის, რადგან ის უშვებს ელექტრონული კომუნიკაციების მასობრივ მონიტორინგს. მოსამართლე ალბუქერქეს დასკვნით, ამ გადაწყვეტილებით სტრასბურგის სამართლომ გზა გაუხსნა ელექტრონულ „დიდ ძმას“ ევროპაში.<sup>47</sup>

გარდა ამისა, მოსამართლე ალბუქერქე არ დაეთანხმა უმრავლესობის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დაზვერვის მონაცემების მიმოცვლის რეჟიმი მე-8 და მე-10 მუხლებს არ არღვევდა. გადაწყვეტილების მიხედვით, უცხოური დაზვერვის სამსახურებისთვის მასობრივი მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის გადაცემა „დამოუკიდებელ კონტროლს“ უნდა დაექვემდებაროს, ხოლო უცხოური დაზვერვის სამსახურიდან მიღებული მასალები – არა. მოსამართლის შეფასებით, თუკი პირდაპირ მეთვალყურეობასთან დაკავშირებით გაერთიანებული სამეფოს მიერ უზრუნველყოფილი გარანტიები საკმარისი არ არის, ის არასაკმარისად უნდა ჩაითვალოს არაპირდაპირი მეთვალყურეობის შემთხვევაშიც, რაც გულისხმობს მესამე მხარის მიერ მოპოვებული დაზვერვის მასალების მიღებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მხარე არ არის კონვენციის მონაწილე.<sup>48</sup>

უცხოური დაზვერვის სამსახურიდან მონაცემების მიღებასთან დაკავშირებით განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის არსებობა ქმნის საშიშროებას, რომ ევროპულმა სამსახურებმა ევროპაში არსებული მკაცრი ზედამხედველობის გვერდის ავლის მიზნით, უცხოურ ორგანოებს თხოვონ იმ ინფორმაციის შეგროვება, რომლის მოპოვების უფლებამოსილება მათ არ აქვთ და შემდეგ ამ მონაცემების მათთვის გადაცემა მოითხოვონ.<sup>49</sup>

ამ საქმეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის დადგენა „პიროსის გამარჯვებადაც“ შეფასდა,<sup>50</sup> რადგან უკვე აღარ ისმის კითხვა მასობრივი მონიტორინგის კანონიერების თაობაზე, არამედ მთავარი საკითხია, თუ როგორ ხდება ამ რეჟიმის ოპერირება.<sup>51</sup> ამასთან, ეს გადაწყვეტილება განიხილება არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების „გარდამტეხ გამარჯვებად“, არამედ მასობრივი მეთვალყურეობის საბოლოო ნორ-

<sup>46</sup> *Milanovic M.*, The Grand Normalization of Mass Surveillance: ECtHR Grand Chamber Judgments in Big Brother Watch and Centrum för rättvisa, EJIL:Talk! 2021, <<https://www.ejiltalk.org/the-grand-normalization-of-mass-surveillance-ecthr-grand-chamber-judgments-in-big-brother-watch-and-centrum-for-rattvisa/>> [31.07.2023].

<sup>47</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, Partly Concurring and Partly Dissenting Opinion of Judge Pinto De Albuquerque, §§ 59-60.

<sup>48</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, Partly Concurring and Partly Dissenting Opinion of Judge Pinto De Albuquerque, § 51.

<sup>49</sup> *Sloot B.v.d.*, Big Brother Watch and Others v. the United Kingdom & Centrum for Rattvisa v. Sweden: Does the Grand Chamber Set Back the Clock in Mass Surveillance Cases? European Data Protection Law Review (EDPL), Vol. 7, No. 2, 2021, 325.

<sup>50</sup> *Christakis T.*, A Fragmentation of EU/ECHR Law on Mass Surveillance: Initial Thoughts on the Big Brother Watch Judgment, European Law Blog, 2018, <<https://europeanlawblog.eu/2018/09/20/a-fragmentation-of-eu-echr-law-on-mass-surveillance-initial-thoughts-on-the-big-brother-watch-judgment/>> [31.07.2023].

<sup>51</sup> იქვე.

მალიზებად დიდი პალატის მხრიდან,<sup>52</sup> რაც გარკვეულწილად მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის „ფრაგმენტაციის“ მაჩვენებელიც არის.<sup>53</sup>

### 3. განსხვავებული სამართლებრივი სტანდარტი საერთაშორისო კომუნიკაციებთან მიმართებით – „ელექტრონული დიდი ძმა“ თუ ეროვნული უსაფრთხოების დაცვის გაძლიერებული რეჟიმი?

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო კომუნიკაციებთან მიმართებით განსხვავებული სამართლებრივი სტანდარტის არსებობა გამართლებულია. ამ შემთხვევაში, კომუნიკაციების მასობრივი მონიტორინგის კუთხით სახელმწიფოს უფლებამოსილება ფართოა, მაგრამ შეგროვებული მონაცემების შემდგომი გამოკვლევა მკაცრ მოთხოვნებს უნდა დაექვემდებაროს.

მასობრივი მეთვალყურეობა გულისხმობს მონაცემების ფართომასშტაბიან შეგროვებას სასარგებლო ინფორმაციის მოპოვების იმედიტ. მონაცემთა მიზნობრივი შეგროვება, რომელსაც „თივის ზვინში ნემსის ძების“ თავიდან აცილების მოტივი ედო საფუძვლად, დიდი მონაცემების პოტენციალის გათვალისწინებით, ფაქტობრივად ახალი პარადიგმით შეიცვალა, რომლის თანახმად, თივის ზვინში ნემსის პოვნა არათუ შესაძლებელი, არამედ პრაქტიკულიც არის: იმისთვის, რომ ნემსი იპოვო, ჯერ თივის ზვინი უნდა გქონდეს.<sup>54</sup> ამგვარი მიდგომა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ლეგიტიმურ კითხვებს წარმოშობს, რადგან ჩნდება განცდა, რომ მასობრივი მეთვალყურეობის პრაქტიკა რიგით ადამიანებს პოტენციურად ეჭვმიტანილებად განიხილავს.<sup>55</sup>

ამასთან, ამ მიდგომას ჰყავს მომხრეებიც. ლუბინი დეტალურად განიხილავს არგუმენტებს, რაც საერთაშორისო კომუნიკაციებთან მიმართებით განსხვავებული სტანდარტის არსებობას ამართლებს:

1) საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში გამოძიების ჩასატარებლად სახელმწიფოს უამრავი საშუალება აქვს. შესაბამისად, კომუნიკაციების ფარული, მითუმეტეს, მასობრივი მეთვალყურეობის საჭიროება მნიშვნელოვნად შემცირებულია. სახელმწიფოს იმავე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ნაკლებად ინტენსიური მეთოდების გამოყენებაც შეუძლია. მეორე მხრივ, სახელმწიფოს შესაძლებლობები საკუთარი იურისდიქციის მიღმა მნიშვნელოვნად შეზღუდულია.<sup>56</sup>

<sup>52</sup> *Milanovic M.*, The Grand Normalization of Mass Surveillance: ECtHR Grand Chamber Judgments in Big Brother Watch and Centrum för rättvisa, EJIL:Talk! 2021, <<https://www.ejiltalk.org/the-grand-normalization-of-mass-surveillance-ecthr-grand-chamber-judgments-in-big-brother-watch-and-centrum-for-rattvisa/>> [31.07.2023].

<sup>53</sup> *Christakis T.*, A Fragmentation of EU/ECHR Law on Mass Surveillance: Initial Thoughts on the Big Brother Watch Judgment, European Law Blog, 2018, <<https://europeanlawblog.eu/2018/09/20/a-fragmentation-of-eu-echr-law-on-mass-surveillance-initial-thoughts-on-the-big-brother-watch-judgment/>> [31.07.2023].

<sup>54</sup> *Hijmans H.*, The European Union as Guardian of Internet Privacy, The Story of Art 16 TFEU, Law, Governance and Technology Series, Vol. 31, Springer International Publishing Switzerland, 2016, 100.

<sup>55</sup> *Stepanovic I.*, Preventing Terrorism or Eliminating Privacy? Rethinking Mass Surveillance after Snowden Revelations, Strani Pravni Zivot (Foreign Legal Life), 2015(4), 239.

<sup>56</sup> *Lubin A.*, We Only Spy on Foreigners: The Myth of Universal Right to Privacy and the Practice of Foreign Mass Surveillance, Chicago Journal of International Law, Vol. 18, No. 2, 2018, 530-531.

2) სახელმწიფოს ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგის უფრო მეტი ტექნოლოგიური შესაძლებლობა აქვს საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, ვიდრე მის მიღმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხშირად კანონის შესაბამისად, სახელმწიფოს წვდომა აქვს საკომუნიკაციო ქსელზე ნებადართული მეთვალყურეობის განსახორციელებლად, ასევე შეუძლია სატელეკომუნიკაციო კომპანიებს მოსთხოვოს დამატებითი დაშვება ან მათი ბაზებიდან ცალკეულ მომხმარებელზე ინფორმაციის მიწოდება. ამგვარი შესაძლებლობა საერთაშორისო კომუნიკაციებთან მიმართებით სახელმწიფოს არ აქვს.<sup>57</sup>

საბოლოო ჯამში, ლუბინი აღიარებს საერთაშორისო და ადგილობრივი კომუნიკაციების მონიტორინგთან მიმართებით მცირედით განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის ლეგიტიმურობას და აცხადებს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უნივერსალური და ერთიანი სტანდარტისთვის ბრძოლის პროცესში ადამიანის უფლებათა დამცველები ბევრად დიდ მოსაგებენ.<sup>58</sup>

ამგვარი მიდგომა ასახული ევროპული სასამართლოს პალატის 2018 წლის გადაწყვეტილებაშიც: ხელისუფლებას მნიშვნელოვანი ძალაუფლება და რესურსები აქვს გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში გამოძიების ჩასატარებლად, მაგრამ ანალოგიური შესაძლებლობები მას არ აქვს მისი ტერიტორიული იურისდიქციის მიღმა მყოფ პირებთან მიმართებით.<sup>59</sup>

ამავე საქმეზე დიდი პალატის გადაწყვეტილების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის შიგნით ადამიანების მეთვალყურეობა და მათი კომუნიკაციების გამოკვლევა გამორიცხული არ არის, მასობრივი მეთვალყურეობის გაცხადებული მიზანი სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციის მიღმა მყოფი პირების კომუნიკაციების მონიტორინგია, რომლის განხორციელება მეთვალყურეობის სხვა ფორმებით შეუძლებელია.<sup>60</sup>

კონფლიქტურ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფის კუთხით ყურადსაღებია სიოფრა ო'ლეარის მოსაზრება: „მონაცემთა დაცვის, როგორც ძირითადი უფლების, ლეგიტიმურმა დომინირებამ და ციფრულ ეპოქაში მისმა გაზრდილმა და უდავოდ ფუნდამენტურმა მნიშვნელობამ არ უნდა გააუფერულოს ის ფაქტი, რომ ბალანსი სწორედ კონფლიქტური უფლებებისა და ინტერესების გულდასმით განხილვას და შეფასებას გულისხმობს. როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოების და გამოძიების ინტერესებმა ზოგჯერ გზა უნდა დაუთმოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ცალკეულ შემთხვევაში, საპირინონე ინტერესების სასარგებლოდ უნდა შეიზღუდოს.“<sup>61</sup>

მეორე მხრივ, კომუნიკაციების მასობრივი მონიტორინგის რეჟიმის ოპერირებისას, ყოველთვის იარსებებს უფლებამოსილების გადამეტების ცდუნება, რადგან „თუკი სახელმწიფოს დისკრეცია ფართოა, ყველაზე მკაცრი კონტროლიც კი არასაკმარისი გარანტიაა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად.“<sup>62</sup> შესაბამისად, მაღალია რისკი იმისა,

<sup>57</sup> იქვე, 532-533.

<sup>58</sup> იქვე, 551.

<sup>59</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2018], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 518.

<sup>60</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 344.

<sup>61</sup> O'Leary S., Balancing Rights in a Digital Age, Irish Jurist, Vol. 59, 2018, 92.

<sup>62</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, Partly Concurring and Partly Dissenting Opinion of Judge Pinto de Albuquerque, § 33.

რომ „ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შექმნილმა მეთვალყურეობის სისტემამ, დემოკრატიის დაცვის სახელით, პირიქით საფრთხე შეუქმნას დემოკრატიას.“<sup>63</sup> როდესაც ადამიანებმა არ იციან, მათი კომუნიკაციები როდის არის დაზვერვის სამსახურების სამიზნე, თუმცა აცნობიერებენ, რომ მაღალი ალბათობით მონიტორინგი ხორციელდება, მათ შესაძლოა საკუთარი ქცევის ადაპტირება მოახდინონ.<sup>64</sup> ამას შესაძლოა „მსუსხავი ეფექტი“ ჰქონდეს ძირითადი უფლებების განხორციელებაზე, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას და დემოკრატიულ ღირებულებებს.

#### 4. დამოუკიდებელი ორგანოს ნებართვა ფარული მეთვალყურეობის განსახორციელებლად

ფარული მეთვალყურეობისას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და თვითნებობის საწინააღმდეგო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია დამოუკიდებელი ზედამხედველობის განხორციელებაა. ზედამხედველობა აუცილებელია ყველა ეტაპზე: ნებართვის გაცემისას, მეთვალყურეობის პროცესში და მისი შეწყვეტის შემდეგ.<sup>65</sup> ნებართვის გაცემის პროცედურის შეფასებისას ევროპული სასამართლო შემდეგ ფაქტორებს იღებს მხედველობაში: ნებართვის გამცემი ორგანო, შემონმების ფარგლები და ნებართვის შინაარსი.<sup>66</sup>

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მასობრივი მეთვალყურეობის რეჟიმთან მიმართებით მთავარი ხარვეზი ევროპული სასამართლოს თავშეკავებულობაა, მოითხოვოს სასამართლო ნებართვის სავალდებულობა.<sup>67</sup> ევროპული სასამართლოს თანახმად, იმ სფეროში, სადაც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ადვილია და შესაძლოა დემოკრატიული საზოგადოებისთვის არსებითად საზიანო შედეგები ჰქონდეს, სასურველია, საზედამხედველო კონტროლი მოსამართლემ განახორციელოს.<sup>68</sup> სასამართლო ნებართვა მნიშვნელოვანი გარანტიაა, მაგრამ არა სავალდებულო.<sup>69</sup> ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მეთვალყურეობის განსახორციელებლად სასამართლოს გარდა სხვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვაც კონვენციის მოთხოვნებს შეესაბამება.<sup>70</sup> მთავარია, ეს ორგანო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან საკმარისად დამოუკიდებელი იყოს.<sup>71</sup>

მაგალითისთვის, გერმანიის საზედამხედველო მექანიზმების კომბინაცია სასამართლომ კონვენციასთან შესაბამისად მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ მეთვალყურეობის განსახორ-

<sup>63</sup> Szabó and Vissy v. Hungary, [2016], ECtHR, N 37138/14, § 57.

<sup>64</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, Joint Partly Concurring Opinion of Judges Lemmens, Vehabović and Bošnjak, § 11.

<sup>65</sup> Roman Zakharov v. Russia, [2015], ECtHR, N 47143/06, § 233.

<sup>66</sup> იქვე, § 257.

<sup>67</sup> Watt E., The Right to Privacy and the Future of Mass Surveillance, International Journal of Human Rights, Vol. 21, No. 7, 2017, 789.

<sup>68</sup> Klass and Others v. Germany, [1978], ECtHR, N 5029/71, § 56.

<sup>69</sup> Szabó and Vissy v. Hungary, [2016], ECtHR, N 37138/14, § 79.

<sup>69</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 351. Centrum för Rättvisa v. Sweden, [2021], ECtHR, N 35252/08, § 265.

<sup>70</sup> Klass and Others v. Germany, [1978], ECtHR, N 5029/71, § 51.

<sup>70</sup> Weber and Saravia v. Germany, [2006], ECtHR, N 54934/00, § 115.

<sup>71</sup> Centrum för Rättvisa v. Sweden, [2021], ECtHR, N 35252/08, § 265.

<sup>71</sup> Big Brother Watch and Others v. the United Kingdom, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 351.

ცილებლად სასამართლოს ნებართვა არ იყო უზრუნველყოფილი. ამ შემთხვევაში ნებართვას G10 კომისია გასცემდა, რომლის თავმჯდომარე მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.<sup>72</sup>

ზახაროვის საქმეში დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ რუსეთის კანონმდებლობით, ნებართვას სასამართლო გასცემდა, მაგრამ შეზღუდული იყო შემოწმების ფარგლები. სასამართლოს არ მოეთხოვებოდა და არც პრაქტიკაში უზრუნველყოფდა გონივრული ეჭვის არსებობის დადასტურებას და ფარული მეთვალყურეობის აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასებას.<sup>73</sup>

შვედეთის კანონმდებლობა მეთვალყურეობის განსახორციელებლად საგარეო დაზვერვის სასამართლოს ნებართვას ითვალისწინებდა, რაც ევროპული სასამართლოს შეფასებით დამოუკიდებლობის მოთხოვნას აკმაყოფილებდა. ამ სასამართლოს პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტი უვადოდ დანიშნული მოსამართლეები იყვნენ. ყველა წევრს მთავრობა ნიშნავდა 4 წლის ვადით.<sup>74</sup> გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა, სასამართლო სხდომებში ასევე მონაწილეობდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც იყო მოსამართლე, ყოფილი მოსამართლე ან ადვოკატი. ეს პირი მოქმედებდა დამოუკიდებლად, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე და წვდომა ჰქონდა საქმის მასალებზე.<sup>75</sup>

ამავე დროს, მოსამართლე ალბუქერქემ თანმხვედრ აზრში ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ შვედეთის საგარეო დაზვერვის სასამართლო არ არის ჩვეულებრივი სასამართლო. ყველა წევრს მთავრობა ნიშნავს 4 წლის ვადით და მათი უფლებამოსილების ვადა განახლებადია, რაც მთავრობასთან მათ პოლიტიკურ კავშირს აძლიერებს.<sup>76</sup> პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც საჯარო და არა ინდივიდის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, მთავრობა ნიშნავს და მისი უფლებამოსილების ვადაც განახლებადია.<sup>77</sup> აქედან გამომდინარე, ის უფრო მეტად პოლიტიკური ორგანოს მსგავსია, ვიდრე რეალურად დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოსი.<sup>78</sup>

გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის შეფასებისას კი დიდმა პალატამ მნიშვნელოვან ხარვეზად მიიჩნია ის, რომ მასობრივი მონიტორინგის ნებართვას გასცემდა არა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ორგანო, არამედ სახელმწიფო მდივანი.<sup>79</sup>

საბოლოო ჯამში, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ზედამხედველობის მექანიზმების შერჩევისას სახელმწიფოები გარკვეული დისკრეციით სარგებლობენ. ადამიანის უფლებების ხელყოფის თავიდან ასაცილებლად გადამწყვეტია საზედამხედველო ორგანოს დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი მხრიდან რეალური კონტროლის განხორციელება, რაც თავის თავში მოიაზრებს ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასებას.

<sup>72</sup> *Klass and Others v. Germany*, [1978], ECtHR, N 5029/71, § 56.

<sup>73</sup> *Roman Zakharov v. Russia*, [2015], ECtHR, N 47143/06, §§ 262-263.

<sup>74</sup> *Centrum för Rättvisa v. Sweden*, [2021], ECtHR, N 35252/08, § 296.

<sup>75</sup> იქვე, § 297.

<sup>76</sup> *Centrum för Rättvisa v. Sweden*, [2021], ECtHR, N 35252/08, Concurring Opinion of Judge Pinto de Albuquerque, § 9.

<sup>77</sup> იქვე.

<sup>78</sup> იქვე.

<sup>79</sup> *Big Brother Watch and Others v. the United Kingdom*, [2021], ECtHR, N 58170/13, 62322/14, 24960/15, § 377.

## 5. დასკვნა

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ფარული მეთვალყურეობის უპრეცედენტო შესაძლებლობა შექმნა. ტერორიზმიდან და ტრანსნაციონალური დანაშაულებიდან მომდინარე საშიშროების გათვალისწინებით, სახელმწიფოები ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად მონინავე ტექნოლოგიებს იყენებენ. კომუნიკაციების მონიტორინგის პროცესში გამოყენებული ტექნიკა იმდენად თვალსაჩინო პროგრესი განიცადა და იმ დონის სირთულეს მიაღწია, რომ რიგითი მოქალაქეებისთვის ამგვარი სისტემა შესაძლოა რთულად აღსაქმელი იყოს.<sup>80</sup>

თანამედროვე ტექნოლოგიები სახელმწიფოს პერსონალური მონაცემების უპრეცედენტო მასშტაბით შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისი სამსახურები ახორციელებენ იმ კომუნიკაციების მონიტორინგს, რაც შესაძლოა მოახლოებული საფრთხის შესახებ ინფორმაციას შეიცავდეს.

ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანი ამართლებს დიდი ოდენობით მონაცემების დამუშავებას და საერთაშორისო კომუნიკაციების მასობრივ მონიტორინგს. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში იკვეთება განსხვავებული სამართლებრივი სტანდარტი სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა მყოფი პირების კომუნიკაციების მეთვალყურეობასთან მიმართებით. სასამართლო შემწყნარებელია იმ არგუმენტის მიმართ, რომ მეთვალყურეობის განსხვავებული ფორმები შესაძლოა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მარეგულირებელი განსხვავებული ჩარჩოს არსებობას ამართლებდეს.<sup>81</sup>

ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად შესაბამისი საშუალებების შერჩევასა და სახელმწიფოები გარკვეული დისკრეციით სარგებლობენ. ევროპულმა სასამართლომ პირდაპირ აღიარა მასობრივი მეთვალყურეობის მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში და საერთაშორისო კომუნიკაციების მასობრივი მონიტორინგი ლეგიტიმურ სახელმწიფო პრაქტიკად მიიჩნია.

მიზნობრივი მეთვალყურეობისგან განსხვავებით, მასობრივი მეთვალყურეობა უცხოური დაზვერვის მონაცემების შეგროვების და ახალი საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენება. ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საერთაშორისო კომუნიკაციების მასობრივი მონიტორინგის კონტექსტში „გონივრული ეჭვის“ მოთხოვნა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ის პრევენციულ მიზნებს ემსახურება და კონკრეტული დანაშაულის გამოძიებას არ უკავშირდება.

სტრატეგიული მეთვალყურეობის რეჟიმის კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, 2021 წელს დიდმა პალატამ ადგილობრივი კანონმდებლობით გასათვალისწინებელი ახალი გარანტიები განსაზღვრა, თუმცა რამდენიმე მათგანი ეროვნულ კანონმდებლობაში მკაფიო განმარტებას საჭიროებს.

სამართლის უზენაესობა მოითხოვს, რომ აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან უფლებებში ჩარევა ეფექტურ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს.<sup>82</sup> მიუხედავად იმისა, რომ სა-

<sup>80</sup> Szabó and Vissy v. Hungary, [2016], ECtHR, N 37138/14, § 68.

<sup>81</sup> Lubin A., We Only Spy on Foreigners: The Myth of Universal Right to Privacy and the Practice of Foreign Mass Surveillance, Chicago Journal of International Law, Vol. 18, No. 2, 2018, 536.

<sup>82</sup> Klass and Others v. Germany, [1978], ECtHR, N 5029/71, § 55.  
Szabó and Vissy v. Hungary, [2016], ECtHR, N 37138/14, § 77.

სამართლო კონტროლი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საუკეთესო გარანტიაა,<sup>83</sup> ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სხვა დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან ზედამხედველობაც კონვენციის მოთხოვნებს შეესაბამება. მთავარია, ეს ორგანო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან საკმარისად დამოუკიდებელი იყოს და რეალურ კონტროლს ახორციელებდეს.

პრობლემურია ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი დაზვერვის მონაცემების მიმოცვლის რეჟიმთან დაკავშირებით, რადგან არსებობს „არაპირდაპირი მეთვალყურეობის“ – მესამე მხარის მიერ მოპოვებული დაზვერვის მასალების მიღების გზით კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ეფექტური ზედამხედველობის გვერდის ავლის რისკები.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და უსაფრთხოების ინტერესების სამართლიანი დაბალანსების საკითხი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და პრობლემურ საკითხად რჩება ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში. სახელმწიფოს ფართო დისკრეცია და გატარებული ღონისძიებების ფარული ხასიათი ადამიანის უფლებების დარღვევის მომეტებულ რისკს წარმოშობს. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო მყარი გარანტიების არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტურ უფლებებსა და ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის უზრუნველსაყოფად და დემოკრატიული ღირებულებების ეფექტურად დასაცავად.

#### ბიბლიოგრაფია:

1. European Convention on Human Rights, Council of Europe, 1950.
2. *Christakis T.*, A Fragmentation of EU/ECHR Law on Mass Surveillance: Initial Thoughts on the Big Brother Watch Judgment, European Law Blog, 2018, <<https://europeanlawblog.eu/2018/09/20/a-fragmentation-of-eu-echr-law-on-mass-surveillance-initial-thoughts-on-the-big-brother-watch-judgment/>> [31.07.2023].
3. *Fenwick H.*, Proactive Counter-Terrorist Strategies in Conflict with Human Rights, International Review of Law, Computers & Technology, Vol. 22, №3, 2008, 259-260.
4. *Hijmans H.*, The European Union as Guardian of Internet Privacy, The Story of Art 16 TFEU, Law, Governance and Technology Series, Vol. 31, Springer International Publishing Switzerland, 2016, 70, 100, 104.
5. *Karaboga M., Matzner T., Obersteller H., Ochs C.*, Is there a Right to Offline Alternatives in a Digital World? in Data Protection and Privacy: (In)visibilities and Infrastructures, *Leenes R., Brakel R.v., Gutwirth S., Hert P.D.*, (eds), Springer International Publishing AG, 2017.
6. *Lubin A.*, We Only Spy on Foreigners: The Myth of Universal Right to Privacy and the Practice of Foreign Mass Surveillance, Chicago Journal of International Law, Vol. 18, №2, 2018, 530-533, 536, 551.
7. *Milanovic M.*, The Grand Normalization of Mass Surveillance: ECtHR Grand Chamber Judgments in Big Brother Watch and Centrum för rättvisa, EJIL:Talk! 2021, <<https://www.ejiltalk.org/the-grand-normalization-of-mass-surveillance-ecthr-grand-chamber-judgments-in-big-brother-watch-and-centrum-for-rattvisa/>> [31.07.2023].
8. *O'Leary S.*, Balancing Rights in a Digital Age, Irish Jurist, Vol. 59, 2018, 92.

<sup>83</sup> იქვე.

9. *Sloot B.v.d., Big Brother Watch and Others v. the United Kingdom & Centrum for Rättvisa v. Sweden: Does the Grand Chamber Set Back the Clock in Mass Surveillance Cases?* European Data Protection Law Review (EDPL), Vol. 7, №2, 2021, 325.
10. *Stepanovic I., Preventing Terrorism or Eliminating Privacy? Rethinking Mass Surveillance after Snowden Revelations*, Strani Pravni Zivot (Foreign Legal Life), 2015(4), 236, 239.
11. *Watt E., The Right to Privacy and the Future of Mass Surveillance*, International Journal of Human Rights, Vol. 21, №7, 2017, 789.
12. *Centrum för Rättvisa v. Sweden*, [2021], ECtHR, №35252/08.
13. *Big Brother Watch and Others v. the United Kingdom*, [2021], ECtHR, №58170/13, 62322/14, 24960/15.
14. *Szabó and Vissy v. Hungary*, [2016], ECtHR, №37138/14.
15. *Roman Zakharov v. Russia*, [2015], ECtHR, №47143/06.
16. *Digital Rights Ireland Ltd v Minister for Communications, Marine and Natural Resources and Others and Kärntner Landesregierung and Others*, [2014], CJEU, C-293/12, C-594/12.
17. *Liberty and Others v. the United Kingdom*, [2008], ECtHR, №58243/00.
18. *S. and Marper v. the United Kingdom*, [2008], ECtHR, №30562/04, 30566/04.
19. *Weber and Saravia v. Germany*, [2006], ECtHR, №54934/00.
20. *Amann v. Switzerland*, [2000], ECtHR, №27798/95.
21. *Klass and Others v. Germany*, [1978], ECtHR, №5029/71.